პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 206
(7517)
27
1983 წ.
ოქტომბერი
ხუთშაბათი
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

● ჭადრაკი

119 სვლა 12 საათში

ტილბურგის (ჰოლანდია) დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირში დამთავრდა გადადებული პარტიები.

რ. ვაჰანიან-უ. ანდერსონის შეხვედრაში 119 სვლა გაკეთდა, 12-საათიანი თამაშის შემდეგ მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ბ. სპასკიმ მოუგო ჯ. ვან დერ ვილს.

ამრიგად, ბოლო, XI ტურის წინ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ა. კარპოვი — 6,5 ქულა, ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), ლ. პორტიში (უნგრეთი) — 6-6, რ. ვაჰანიანი — 5,5 ბ. სპასკი, ლ. პოლუგაევსკი — 5-5.

დიდ ინტერესს იწვევს ბოლო ტურში კარპოვისა და ლიუბოევიჩის შეხვედრა.

140 მოჭადრაკე და 8 საგზური

ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს თბილისის ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით 11 ტურად ტარდება, 48 ოსტატობის კანდიდატი და 92 პირველთანრიგოსანი მონაწილეობს. ფინალის საგზურებს მიიღებენ I-VIII ადგილების მფლობელები.

8 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან გ. ბიბილაშვილი — 7,5 ქულა, გ. გრძელიშვილი — 7, გ. მალალაშვილი, შ. ჭრელაშვილი, პ. კალაგაშვილი, ე. გველესიანი — 6,5-6,5, ნ. ლობჟანიძე, დ. სირბილაძე, კ. ძიძიგური და კ. მარდალეიშვილი — 6-6.

შეჯიბრება 30 ოქტომბერს დამთავრდება.

გ. ფამილიანტი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ЧЕМПИОНАТ МИРА И ЕВРОПЫ
ТЯЖЕЛАЯ АТЛЕТИКА
83

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი

მეოთხე დღე — შრეკორდოდ

მოსკოვი. ძალოსანთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის მეოთხე დღე შედარებით „მშვიდობიანი“ გამოდგა — რეკორდებზე შეტევა არ შედგა.

67,5 კგ წონაში ყველას აჯობა გდრ-ის ათლეტმა ი. კუნცმა. მან ორჭიდში 340 კგ მოაგროვა. ოლიმპიური ჩემპიონი, ბულგარელი ი. რუსევი, რომელიც ამ წონაში დაბრუნდა ორწლიანი შესვენების შემდეგ, „ვერცხლს“ დასჯერდა — 337,5 კგ. ამდენივე მოაგროვა გდრ-ის ძალოსანმა ა. ბემმა, მაგრამ მეტოქეზე მძიმე აღმოჩნდა და ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა.

სსრ კავშირის ძალოსანთა ნაკრების ხელმძღვანელობას ამ წონაში მონაწილე არ გამოუყვანია.

● სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატი კალათბურთში

სამი ქულით...

საკავშირო ჩემპიონატის მოსკოვის ტურის პირველ მატჩში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდი შეხვდა ლენინგრადის „სპარტაკს“. დაძაბული ბრძოლის შემდეგ დინამოელებმა პირველი მარცხი იწვნიეს — 69:72.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: რტი (მინსკი) — ვეფ (რიგა) 68:78, ცსკა — ასკ (კიევი) 95:76, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — ასკ (რიგა) 117:75, „სტროიტელი“ (კიევი) — „უნივერსიტეტი“ (ტაშკენტი) — 97:69, „დინამო“ (მოსკოვი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 96:86.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 ოქტომბრისთვის

	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგ.“	6	0	608—463	6
„დინ.“ თბ.	5	1	536—528	5
„დინ.“ მ.	4	2	575—550	4
ვეფ რ.	4	2	514—512	4
ცსკა	3	3	529—498	3
ასკ კ.	3	3	504—504	3
„სპარტ.“	3	3	468—484	3
„სტროიტ.“	3	3	504—524	3
„უნივერს.“	2	4	519—533	2
რტი მნ.	2	4	500—536	2
ასკ რ.	1	5	493—561	1
„სტატ.“ ვ.	0	6	518—573	C



გმირის სახელობისა

გუშინ თბილისში დაიწყო საბჭოთა კავშირის გმირის შოთა გამცემლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი V ტრადიციული საკავშირო ტურნირი ჩოგბურთში.

ასპარეზობაში, რომელიც ერთდროულად მიმდინარეობს „დინამოს“, „განთიადისა“ და ჩოგბურთის სასახლის კორტებზე, მასპინძლებთან ერთად გამოდიან მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის, კიშინიოვის, ერევნის, ხარკოვის, ზაპოროჟიეს, სევეროდონეცკის, სოჭის, კისლოვოდსკის, სოხუმისა და ქუთაისის ნორჩი სპორტსმენები.

9-დან 15 წლამდე ასაკის 250 მონაწილეს შორის არიან რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში გამარჯვებულები: ი. გერაძე, ე. ბოკუჩავა, ნ. წირღვავა, დ. კაჭარავა, თ. შალიკაშვილი, დ. კვარაცხელია, ა. ახალაძე, გ. კუპრეიშვილი (ყველა — თბილისი), ი. სოკოლოვა, ა. ფილიპოვი და ა. მერინოვი (მოსკოვი), ა. ბოგდანოვა (ზაპოროჟიე) და სხვანი.

შეჯიბრება 31 სექტემბრამდე გასტანს.

გ. ახალაძე.

● მსოფლიო ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში

XXII. TORNASZ VILAGBAJNOKSAG
BUDAPEST · 1983
X. 23-tól X. 30-ig

დებიუტანტთა წარმატება

უნგრეთის დედაქალაქის სპორტის სასახლეში მიმდინარე ტანვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტებმა — მოსკოველმა მოსწავლემ ო. მოსტეპანოვამ და როსტოველმა სტუდენტმა ნ. იურჩენკომ პირველ დღეს ტონი მისცეს საბჭოთა ნაკრების გამოსვლას ქალთა ტურნირზე. სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ ჩვენი გუნდი ლიდერობდა 195,90 ქულით და 0,65 ქულით უსწრებდა თავის ძირითად მეტოქეს — რუმინეთის ნაკრებს. მესამე ადგილზეა გდრ-ის ნაკრები — 195,00 ქულა. უძლიერესთა ექვსეულში შედიან, აგრეთვე, ჩინეთის, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები.

საბჭოთა ნაკრების წარმატება განაპირობა ჩვენი ტანმოვარჯიშე გოგონების თანაბარმა გამოსვლამ ყველა იარაღზე, მხოლოდ ბჯენით ხტომაში დაუშვეს ჩვენმა სპორტსმენებმა შეცდომა. თავი ისახელეს გდრ-ის ტანმოვარჯიშეებმაც — ჩემპიონატის ყველაზე ნორჩმა მონაწილეებმა. მათ ლიდერს — გასული მსოფლიო ჩემპიონატის 3 ოქროს მედლის მფლობელს, ბერლინელ სტუდენტს მ. გნაუკს 19 წელი შეუსრულდა, დანარჩენი ტანმოვარჯიშეები კი 15-15 წლის დებიუტანტები არიან. წილისყრით გდრ-ის ნაკრები ძირითად მეტოქეებზე ადრე გამოვიდა, მაგრამ მისი შედეგები ყველასთვის მიუწვდომელი გახდა. მეტოქეებმა ვერც პირად ჩათვლაში გაუსწრეს მ. გნაუკს, რომელმაც, შეიძლება ითქვას, დიდოსტატური ქულები მოაგროვა — 39,55 (3 შეფასება კი 9,9 უდრიდა). საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს მისმა ახალგაზრდა თანაგუნდელებმაც, რაც სპეციალისტებმა ჩემპიონატის ნამდვილ სიურპრიზად მიიჩნიეს. პირად ჩათვლაში მეორე შედეგი აქვს ევროპის ჩემპიონს ორძელზე ე. საბოს (რუმინეთი) — 39,50 ქულა. მას 0,15 ქულით ჩამორჩებიან თანაგუნდელი ლ. აგაკე და ჩვენი სპორტსმენები ო. მოსტეპანოვა და ნ. იურჩენკო.

ფიზიკური კულტურა და სპორტი — ყოველდღიურ ცხოვრებაში!



აქ უყვართ სპორტი

საბჭოთა კავშირის 60 წლისთავის სახელობის თბილისის კერამიკულ კომბინატში მაშინ მივედით, როცა მოწინავე საწარმოს მუშა-მოსამსახურეებს ფიზკულტურული პაუზა ჰქონდათ, სამხატვრო საამქროში საწარმოო ტანვარჯიშს ატარებდნენ. კომბინატში 600-მდე კაცი მუშაობს (დირექტორი თ. ალაძე, ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ლ. ლობჟანიძე), მათგან 250-მდე ფიზკულტურელი და სპორტსმენია. საწარმოში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მინი-ფეხბურთი, ჭადრაკი, ტყვიის სროლა, ტურიზმი. ამ სახეობებში საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოყალიბებულია სექციები.

კერამიკოსთა სიამაყეს წარმოადგენენ მუშა-სპორტსმენები: პირველთანრიგოსანი მოკრივე მ. ხუბეჯიშვილი, მოთხილამურე რ. ბელაშვილი, მაგიდის ჩოგბურთელი თ. ბარამიძე, ფეხბურთელი კ. შარუმოვი, ბრიგადირი ვ. მაისურაძე (ტურიზმი) და სხვები. ისინი საუკეთესოდ გამოდიან კომბინატის ტრადიციულ სპარტაკიადებზე. ახლახან დამთავრებულ საზაფხულო სპარტაკიადაზე, რომელშიც სპორტის 5 სახეობა შედიოდა, გაიმარჯვა სამხატვრო საამქროს (ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე მ. მუჯირი) გუნდმა. სხვათა შორის კერამიკოსი სპორტსმენები წარმატებით ასპარეზობენ 26 კომისრის სახ. რაიონის სპარტაკიადაზე, სადაც კომპლექსურ ჩათვლაში ფეხსაცმლის გაერთიანება „ისნის“ კოლექტივის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს (პირველი ადგილები მოიპოვეს მინი-ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში). საწარმოს ფიზკულტურელებმა რესპუბლიკური პროფკავშირების დარგობრივ სპარტაკიადაზე რამდენიმე საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

ამ ზამთარს კერამიკული კომბინატის ფიზკულტურელები და სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ბაკურიანში დაგეგმილ სხვადასხვა შეჯიბრებაში.

ი. გალდავა,
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათებზე: მიმდინარეობს კომბინატის საჭადრაკო ტურნირი; ფიზკულტპაუზა სამხატვრო საამქროში; მაგიდის ჩოგბურთი შესვენების დროს.
ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

უკეთ იასპარეზებენ

მზიანი დღე იდგა. სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" სამტრედიის რაისაბჭოს თავმჯდომარე ჯ. ვაშაკიძესთან ერთად ლანირის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ვ. ლორია) სპორტულ ბაზებს ვეწვიეთ. ფეხბურთის მოედანზე ადგილობრივი და იანეთელი სპორტსმენები ხვდებოდნენ ერთმანეთს „კოლმეურნეს" პირველობაზე. მონაწილეთა უმრავლესობას კედები ეცვა და წინა დღეების წვიმისგან გაჟღენთილ მინდორზე უცურდებოდა ფეხი...

— ძალიან გვიჭირს სპორტული ინვენტარისა და ფორმის შოვნა, — გვითხრა ლანირელ ფიზკულტურელთა თავკაცმა ა. ბარამიძემ. — ამ ორიოდე წლის წინათ სამტრედიის სპორტმაღაზიაში მათი გადარიცხვის წესით შეძენა რატომღაც გააუქმეს, ასე რომ, ახლა ქუთაისისა და ფოთის მაღაზიებში გვიხდება სირბილი. ცხადია, ეს ძალზე ბევრ დროსა და ენერგიას გვართმევს. ესეც არ იყოს, ადგილზე ყოველთვის როდი აქვთ ჩვენთვის სასურველი საქონელი, ამიტომ სპორტული ფორმებისა და ინვენტარისათვის გამოყოფილ თანხებს სრულად ვერ ვიყენებთ. შარშან დირექციის ფონდიდან აუთვისებელი დაგვრჩა 700 მანეთი, წლეულს კი დირექციის ფონდის 400, ხოლო პროფკავშირული ორგანიზაციის 300 მანეთი ხელუხლებელი დევს...

მსგავსი გულისტკივილი გაგვიზიარეს იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტმა არჩილ კობრეიძემ და ჩვენმა მეგზურმა ჯ. ვაშაკიძემ.

ვფიქრობთ, რომ სამტრედიელ სპორტის მესვეურთა წუხილი სამართლიანია. საჭიროა დროულად მივიღოთ ზომები!

დავუბრუნდეთ ლანირელთა სპორტულ ბაზებს. მომავალი წლის მაისისთვის სოფლის ცენტრში სპორტული კომპლექსი მოეწყობა. უკვე არსებულ ფეხბურთის მოედანთან ერთად კალათბურთის, ხელბურთის მოედნები, სახტომი ორმოები, სარბენი ბილიკები და მძლეოსნური სექტორები გაკეთდება. დღეისთვის კი აქაურ ფიზკულტურელთა განკარგულებაშია ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკისა და შაშის სექციების სამეცადინო ოთახები (სხვათა შორის, ლანირელები საჭიროების შემთხვევაში საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზსა და მოედანს, 25-მეტრიან სასროლეთსაც იყენებენ). ახალი სპორტული მოედნები ადგილობრივ ახალგაზრდობას საშუალებას მისცემს უკეთესად იასპარეზოს რაიონულ სპარტაკიადებსა თუ „კოლმეურნეს" პირველობებზე. თუმცა აქაურ ფიზკულტურელებს რაიონული მასშტაბით დღესაც თვალსაჩინო მიღწევები აქვთ. მარტო წლეულს „კოლმეურნეს" რაისაბჭოს პირველობაზე ლანირელებმა სპორტის 17 სახეობაში იასპარეზეს. სამოცდათხ და ასუჯრიან შაშში პირველი ადგილები დაიკავეს, ხოლო შვიდ სახეობაში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ. ამ წარმატებებში გარკვეული წვლილი შეიტანეს მოწინავე მუშა-ფიზკულტურელებმა — სპორტის ოსტატობის კანდიდატმა, რაიონის ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში ხ. ბარამიძემ, თანრიგოსანმა სპორტსმენებმა — მოჭიდავე ო. ქიქიაშვილმა, ხელბურთელმა ვ. ჯღარკავამ, ტყვიის მსროლელმა ზ. მიქელაძემ, ლელობურთელმა ა. ქაჯაიამ, მოშაშე ი. ბარამიძემ, მოჭადრაკე ლ. გვილავამ და სხვებმა.

სპორტული სექციების მეცადინეობასთან ერთად აქ რეგულარულად ტარდება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები ბრიგადებს შორის. წლეულს ასეთი ასპარეზობანი გაიმართა შაშში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, მშთ-ს მრავალჭიდში. საინტერესოდ ჩატარდა აგრეთვე 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა ტურნირი შაშში, მრავალი მონაწილე მიიზიდა ცხენისწყალზე გამართულმა შეჯიბრებამ თევზჭერაში და ტურისტულმა ლაშქრობამ მარშრუტით: ლანირი — წულუკიძე — გორდი — ლანირი. ფეხბურთის, ჭიდაობისა და რბენის ტრადიციულ დღეებთან დაკავშირებით ლანირში ჩატარდა მასობრივი ღონისძიებანი ამ სახეობებში. სოფლის ფიზკულტურელები შეხვდნენ წულუკიძისა და ვანის რაიონის სოფლების ქვიტირის, ივანდიდისა და შუამთის ფიზკულტურელებს.

— ამ წარმატებათა მიუხედავად, მაინც არა ვართ კმაყოფილი, — თქვა ა. ბარამიძემ. — სოფლის ახალგაზრდებს მეტის გაკეთება მართებთ. სამწუხაროდ, დაბალი შედეგები გვაქვს ჭიდაობაში. ეს მაშინ, როდესაც ლანირელი მოჭიდავეები ადრე წამყვან ძალას წარმოადგენდნენ რაიონში. ესეც რომ არ იყოს, საქვეყნოდ ცნობილი ფალავანი ვახტანგ ბალავაძე ხომ ლანირელია. სწორედ აქ აიდგა მან ფეხი ჭიდაობაში და პირველი ნათლობაც ჩვენი სოფლის ნახერხმოყრილ ასპარეზზე მიიღო. ცხადია, სახელოვანი მოჭიდავის თანასოფლელებს უფრო მეტი მოგვეთხოვება. ვეცდებით სოფლის ცენტრში ერთი კარგი საჭიდაო სარბიელი მოვაწყოთ, ახალგაზრდები მოვიზიდოთ და ქართულ ჭიდაობაში დაკარგული პოზიციები დავიბრუნოთ.

ვ. დანელია.
(„ლელოს" სპეც. კორ.).
სოფ. ლანირი,
სამტრედიის რაიონი.

* * *

სურათზე: ასპარეზობენ ლანირელ და იანეთელ ფეხბურთელთა გუნდები.

ავტორის ფოტო.

ტრადიციის სათავე

აბაშის რაიონში შემოდგომით ხშირად იმართება ფეხბურთელთა ასპარეზობანი. სულ ახლახან მოეწყო „ოქროს თავთავის" პრიზის გათამაშება, რომელშიც რაიონის თითქმის ყველა გუნდი მონაწილეობდა. გამარჯვება მოიპოვეს სოფ. ქოლობნის ფეხბურთელებმა.

აბაშის სპორტკომიტეტის თაოსნობით დაწესდა სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. დარასელიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი და ასპარეზობაში 20 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. პრიზის პირველი მფლობელი გახდა სოფ. ნაესაკოვოს გუნდი, რომელმაც ფინალში დაამარცხა სოფ. კეთილარის კოლექტივი.

ქოლობნისა და ნაესაკოვოს გუნდებს შორის გათამაშდა თავისებური „სუპერთასი", აქ უპირატესობა ნაესაკოვოელებმა მოიპოვეს.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულმა გუნდმა ოჩამჩირეში ყვავილების თაიგულებით შეამკო ვ. დარასელიას საფლავი.

თ. ანთაძე.

● **ბადმინტონი**

ჩემპიონები ერთი სპორტკლუბიდან

18-23 ოქტომბერს სოხუმში ჩატარდა საქართველოს პირადგუნდური ჩემპიონატი ბადმინტონში, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის (2), ქუთაისის, რუსთავის, აფხაზეთისა და აჭარის ნაკრები გუნდები.

ვაჟებში საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი დ. კავილაძე, რომელმაც ფინალში თავის თანაგუნდელს ლ. მურადიანს სძლია. III ადგილზეა სოხუმელი გ. პანაიოტიდი.

ქალთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა ბათუმელმა ი. ბერიძემ. ფინალურ შეხვედრაში მან ანგარიშით 2:1 დაამარცხა თბილისელი მ. სვირიდენკო. III ადგილზეა ბათუმელი მ. ცინცაძე.

წყვილ ვაჟთა თანრიგში გაიმარჯვა დ. კავილაძისა და ლ. მურადიანის დუეტმა. II ადგილზეა გ. პანაიოტიდისა და ზ. ბრანტოვის, ხოლო III — გ. პავლიაშვილი — მ. ნერსესიანის წყვილი (ყველა — სოხუმი).

ქალების წყვილთა თანრიგში ადგილები ასე განაწილდა: I. ი. ბერიძე — მ. ცინცაძე (ორივე — ბათუმი), II. თ. მეტრეველი — მ. სვირიდენკო (ორივე — თბილისი), III. ვ. ქსოვრელი (თბილისი) — ლ. მეფტოხუდინოვა (ბათუმი).

შერეულ წყვილთა შორის I ადგილზე არიან დ. კავილაძე — მ. სვირიდენკოს, II — გ. პანაიოტიდი — მ. ცინცაძის, ხოლო III — ვ. ქსოვრელი — ა. აგიკიანის (თბილისი) წყვილი.

ამრიგად, გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ თბილისის პირველი ნაკრების წევრები. II ადგილზეა აფხაზეთის, ხოლო III — აჭარის გუნდი. აღსანიშნავია, რომ თბილისის პირველი ნაკრები (მ. სვირიდენკოს გამოკლებით) დაკომპლექტებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტკლუბის წევრებით (მწვრთნელი ლ. ქურხაშვილი).

ნ. სიპინავა.

დიდოსტატთა აღმზრდელი

სპორტული დარბაზიდან იარაღის ჟღარუნი და ახალგაზრდების შეძახილები ისმის. მწვრთნელის შენიშვნებზე ისინი უეცრად ჩერდებიან და კვლავ თავიდან იწყება „შერკინება".

ასეა ყოველდღე თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებულ საფარიკაო სპორტულ სკოლაში. სპორტის ამ საინტერესო და მიმზიდველ სახეობას აქ ოთხმოცამდე მოსწავლე ეუფლება.

სკოლის ხელმძღვანელია ამაგდარი პედაგოგი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ტრიფონ მესხი.

...ბიჭიკო მესხი — ასე იცნობს მას ყველა, ვისაც საქმე აქვს ქართულ ფარიკაობასთან. მის სახელთან დაკავშირებულია 60-იანი წლების ქართული საფარიკაო სკოლა.

სამ ათეულ წელზე მეტია ზრდის ტ. მესხი ქართული ფარიკაობის ოსტატებს, ყოველდღიურ ზრუნვასა და მშობლიურ სითბოს არ აკლებს არც ერთ შეგირდს. რაღაც განსაკუთრებული ალღო იზიდავს ნორჩებს „მესხის სკოლაში". ვინ მოთვლის, რამდენმა მათგანმა გაიარა მის ხელში. იზრდებოდნენ პატარები, მათთან ერთად იზრდებოდა ქართული საფარიკაო სკოლაც.

ტ. მესხმა თავისი აღმზრდელი პედაგოგებისაგან ლევ გოლოვნიასა და აკაკი მეიფარიანისაგან შეითვისა ის დიდი პედაგოგიური ალღო, რომელიც აღმზრდელსა და მწვრთნელს სჭირდება. სრულყოფილი ათლეტები ფიზიკურ ძალასთან ერთად მორალური ძალითაც უნდა გამოირჩეოდნენ.

მისი, როგორც პედაგოგის „საიდუმლოება" სწორედ ისაა, რომ აღსაზრდელს უპირველესად ყოვლისა ამ ძალას აპოვნინებს. წლების მანძილზე თანდათანობით ხვეწავს და აკაჟებს მათ. ბიჭიკო მასწავლებლის აღზრდილები სხვებისაგან ბრძოლის განსაკუთრებულად დახვეწილი, რაინდული მანერით, სწრაფი იერიშებით გამოირჩევიან. იგი სულიერად ამაღლებს და ძერწავს სპორტსმენებს. ამიტომ არის, რომ მისი მოწაფეების შერკინება მეტოქეებთან მუდამ ლამაზ, საინტერესო სანახაობას წარმოადგენს და ასე გვამახსოვრდება. ამაზე მეტყველებს რესპუბლიკური, ცენტრალური თუ უცხოური იმდროინდელი პრესის ფურცლები.

1946 წელს მესხი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის სპეციალობაზე ჩაირიცხა. მაშინ არც კი უფიქრია, ოდესმე თუ ულალატებდა ფეხბურთს, მაგრამ ყველაფერი მისი მწვრთნელის ა. მეიფარიანის „ბრალი" იყო. სწორედ მან ურჩია ახალგაზრდას ფარიკაობაში ეცადა ძალა.

ჯერ კიდევ სტუდენტი იყო ბიჭიკო, როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტში მოფარიკავეთა ჯგუფი ჩამოაყალიბა. ეს მისი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯები გახლდათ. დიდმა მონდომებამ და საქმისადმი სიყვარულმა ნაყოფი გამოიღო. მისი ნამოწაფარები: პროფესორი ნოდარ ტაბიძე, მეცნიერებათა კანდიდატები ნოდარ ასათიანი, დალი ფარჯიკია დღეს სიყვარულით იხსენიებენ ტ. მესხს. გადიოდა დღეები, წლები, თაობა თაობამ შეცვალა. სწორედ ახალმა თაობამ — 50-იანი წლების ახალგაზრდობამ მოუტანა სახელი და დიდება ჩვენს ფარიკაობას — ნუგზარ ასათიანი, გურამ კოსტავა, რევაზ ცირეკიძე, იური ოსიპოვი, ძმები გოგი, კოტე და არჩილ გოგელიები და სხვები...

1951 წელს რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელის საპატიო მისია ტ. მესხს მიანდეს. არც შემცდარან. მისმა აღზრდილებმა გამარჯვებულთა საპატიო კვარცხლბეკზე იწყეს ასვლა... 1955-56 წლებში გ. კოსტავამ და ნ. ასათიანმა ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე პირველი ადგილები დაისაკუთრეს, ხოლო 1960 წელს სსრ კავშირის თასის მფლობელები გახდნენ. გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა. მოზარდთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ ჯემალ გოგუაძე და თედო ზაუტაშვილი. 1963 წელს ქალაქ გენტში (ბელგია) ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე მესხის მოწაფეებმა გურამ ლორთქიფანიძემ და გივი ანდრიაძემ ოქროს მედლები მოიპოვეს.

შორს წაგვიყვანდა ყველა იმ გამარჯვებათა გახსენება, მესხის აღზრდილებმა რომ მოიპოვეს. ვიტყვი მხოლოდ, რომ 1964 წელს XVIII ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ მოფარიკავეთა ნ. ასათიანისა და გ. კოსტავას ოსტატურმა, ლამაზმა, მართლაც ცეცხლოვანმა ბრძოლამ მთელი სპორტული პრესა აალაპარაკა. პირველმა ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი, მეორემ კი „ბრინჯაო" ჩამოგვიტანა. ეს გამარჯვებები ხომ ტ. მესხის გამარჯვებაც იყო. წარმატება მისმა მონდომებამ, საქმისადმი დიდმა სიყვარულმა, დაუოკებელმა ძიებამ მოიტანა.

ტ. მესხი მუდამ მომთხოვნი, მკაცრი, მაგრამ გულისხმიერი და მეგობრულია. ასეთი იყო ადრეც, ასეთია დღესაც. არც თავისი ვაჟიშვილი მალხაზი „დაუნდია". პატარაობიდანვე შეაყვარა ფარიკაობა. მალხაზი ახლა 18 წლისაა: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე სწავლობს და გულმოდგინედ ეუფლება ხმლით ფარიკაობის საიდუმლოებებს.

— როდესაც გავიგეთ, რომ ჩვენთან (უმაღლესი სპორტული დაოსტატების № 2 სკოლაში, 1980-1983 წლებში) ბიჭიკო მესხი მოდიოდა მწვრთნელად, ყველას გაგვიხარდა. ჩვენი სკოლისათვის ეს მართლაც დიდი შენაძენი იყო, — იხსენებს რესპუბლიკის ხუთჭიდელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი ივანე ლუცენკო, — შესანიშნავი აღმზრდელი და ორგანიზატორი, უდიდესი ტაქტის მქონე, მაღალი კულტურის ადამიანი, უხილავი გზა რომ უპოვნია სპორტსმენთა გულებისაკენ. მასთან ყოველი შეხვედრა ცხოვრების დიდი გაკვეთილია.

...სპორტული დარბაზიდან ისმის იარაღის ჟღარუნი და ახალგაზრდების ხმები. მოფარიკავეები მოსწავლეთა საკავშირო XVII სპარტაკიადისათვის ემზადებიან. ნორჩები კი — რუსიკო ვარამაშვილი და გიორგი ბაკურაძე ბიჭიკო მასწავლებლის დახმარებით პირველ ნაბიჯებს დგამენ საფარიკაო ბილიკზე. აგერ ახალგაზრდა კოსტავაც, სახვაძეც... დიახ, ამ დარბაზში ცნობილ ოსტატთა შვილებიც იზრდებიან. ვინ იცის, იქნებ გიორგიმ და დათომ, ჯემალმა და მალხაზმა, გურამმა და ნუგზარმა, რუსუდანმა და ქეთევანმა, დალიმ და ნოდარმა... მალე თავიანთი სიტყვაც თქვან. მათ ხომ დიდოსტატი მწვრთნელი — ტრიფონ მესხი „ძერწავს".

ცისანა სიხარულიძე.

* * *

სურათზე: ტ. მესხი თავის მოწაფეებთან.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„პერეთი“ (ლაგოდეხი) — „თორი“ (ბორჯომი) 4:3. მსაჯი ვ. მაზუხინი (რუსთავი).

გოლები: ონიანი, ეჯიბოვი, კალუგა, ბერუაშვილი („პერეთი“), კურტანიძე—2, ხაჩიძე („თორი“).

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:4. მსაჯი ი. ბარბაქაძე (მცხეთა).

გოლები: ბერიძე, კაველიძე, ქარაული („ლოკომოტივი“), ხუბეჯიშვილი — 4 („სპარტაკი“).

„არმაზი“ (მცხეთა) — „ივერია“ (ხაშური) 4:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

გოლები: კ. იორამაშვილი—2, გაბრიჩიძე, ე. გულბათაშვილი.

„სპარტაკი“ (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 4:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

გოლები: კირაკოსიანი—2, ყურაშვილი, ჯიშიაშვილი („სპარტაკი“), ი. ნოზაძე („ქართლი“).

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „ავტომობილისტი“ (თბილისი) 5:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

გოლები: ბოლქვაძე—3, გოგუაძე, ქუმსიაშვილი.

„მადნეული“ (ბოლნისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:3. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

გოლები: ზ. ჯაფარიძე, თავხელიძე („მადნეული“), იმედაშვილი, ქადაგიშვილი, კობახიძე („ალაზანი“).

„კახეთი“ (თელავი) — „სამგორი“ (გარდაბანი) 1:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).

ბურთი გაიტანა აბდულაევმა.

„შევარდენი“ (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

გოლები: ბადაშვილი, მენთეშაშვილი („შევარდენი“), მალიხინი („დურუჯი“).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 0:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

„სპარტაკი“ (თბილისი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 1:2. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

გოლები: ჯაგოვი, უგულავა („მადნეული“), ერაძე („სპარტაკი“).

დასავლეთი ზონა

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 1:1. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).

გოლები: ბერძენიშვილი („იმერეთი“), გოგოძე („სალხინო“).

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 0:0. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი).

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 3:2. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).

გოლები: ჯანიაშვილი, ფარულავა, ჩინჩალაძე („საპოვნელა“), ცუცქირიძე, ბერიძე („მაღაროელი“).

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „მზიური“ (გალი) 5:0. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).

გოლები: ლაბაძე—2, კიკნაველიძე, ძიძიშვილი, გვენეტაძე („მეტალურგი“).

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 3:1. მსაჯი ა. კიკაბიძე (მახარაძე).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სქური“ (წალენჯიხა) 4:3. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).

გოლები: როსტობაია—2, გიორბელიძე, კოკაია („ამირანი“), შეროზია, კვარაცხელია, მორგოშია („სქური“).

„სულორი“ (ვანი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:1. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

გოლები: კიკალიშვილი, ჯ. ვერულაშვილი („სულორი“), დანილოვი („დინამო“).

„ენგური“ (ზუგდიდი) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:0. მსაჯი ბ. ჩერნიახოვსკი (სოხუმი).

გოლები: ლაგვილავა, როგავა.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 26 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალ.“	31	18	8	5	70-29	44
„პერეთი“	31	17	9	5	54-33	43
„კახეთი“	30	18	6	6	50-23	42
„ავტომ.“	31	15	9	7	51-30	39
„შევარ.“	31	14	10	7	45-25	38
„ივერია“	30	14	7	9	50-42	35
„არმაზი“	32	13	7	12	48-49	33
„სპარ.“ ც.	31	14	3	14	66-59	31
„მადნ.“	32	12	7	13	54-43	31
„სამგ.“	32	9	13	10	45-39	31
„დურუჯი“	29	11	8	10	57-47	30
„თორი“	31	10	10	11	44-48	30
„სპარ.“ თბ.	32	10	9	13	63-54	29
პოლ. ინს.	30	5	18	7	31-42	28
„ალაზანი“	31	9	5	17	52-69	23
ფიზ. ინს.	30	8	7	15	35-50	23
„ქართლი“	31	6	9	16	42-84	21
„ლოკომ.“	31	2	1	28	22-113	5

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სამგურ.“	32	18	8	6	61-27	44
„სულორი“	33	18	7	8	61-42	43
„დინ.“ ზ.	33	18	6	9	62-46	42
„მზიური“	33	18	5	10	56-39	41
„საპოვნ.“	33	16	9	8	59-37	41
„სამეგ.“	33	14	5	14	63-47	33
„ამირანი“	34	13	7	14	57-70	33
„სქური“	33	13	6	14	47-59	32
„სალხინო“	33	10	11	12	48-58	31
„დინ.“ გ.	33	12	6	15	52-65	30
„ბახმარო“	33	11	8	14	32-43	30
„კოლხეთი“	33	9	12	12	54-63	30
„მეტალ.“	32	10	9	13	57-49	29
„იმერეთი“	32	10	9	13	54-56	29
„ეგრისი“	33	10	9	14	50-56	29
„საირმე“	33	11	5	17	43-54	27
„ენგური“	31	11	5	15	30-52	27
„მაღარ.“	31	10	7	14	49-47	27
„შუქურა“	32	7	8	17	48-73	22

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„იმედი“ (რუსთავი) — „ზარზმა“ (ადიგენი) 4:1, „არაგვი“ (ჟინვალი) — „ალგეთი“ (მარნეული) 2:1, „მაშავერა“ (დმანისი) — „განთიადი“ (კასპი) 3:2, „აბული“ (ახალქალაქი) — „მშენებელი“ (ქიათურა) 3:0, „თრიალეთი“ (წალკა) — „მესხეთი“ (ახალციხე) 1:1, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 0:1, „ვარძია“ (ასპინძა) — „იბერია“ (ქარელი) 1:0.

დასავლეთი ზონა

„კოლმეურნე“ (გულრიფში) — „ავიატორი“ (სოხუმი) 1:1, „ნავერწყალი“ (ოქუმი) — „ბზიფი“ (გუდაუთა) 5:4, „ხვამლი“ (ცაგერი) — „გიგანტი“ (ლაითური) 1:0, „ავტომობილისტი“ (აბაშა) — „ოდიში“ (ზედა ეწერი) 3:5, „იმერეთი“ (ქუთაისი) — „ნარუჯა“ (მახარაძე) 1:0, „რაჭა“ (ამბროლაური) — „თოლია“ (ბათუმი) 2:1, „სენაკი“ (ცხაკაია) — „კოლხიდმშენი“ (ფოთი) 2:3, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „კოლმეურნე“ (დვაბზუ) 2:2. ფოთის „კოლხიდმშენს“ გამარჯვება ჩაეთვალა გუდაუთის „ბზიფთან“.

ზონალური პირველობა

„ქიზიყი“ (წნორი) — „მეშახტე“ (აგარა) 1:2, „ნარინჯი“ (გონიო) — „მეავეჯე“ (ქუთაისი) 1:0, „ნარინჯი“ (ნატანები) — „კოლმეურნე“ (ორპირი) 0:0. თიანეთის „იორს“ გამარჯვება ჩაეთვალა ჯავის „კოლმეურნესთან“.

11-მეტრიანი
უდისციპლინოთა კარში

ყოვლად უმსგავსოდ მოიქცა მარნეულის „ალგეთის“ ფეხბურთელი იორ. ყუყუნაშვილი. იგი შეეკამათა მსაჯს და შემდეგ, როცა ამის გამო შენიშვნა მიიღო, გინებაზე გადავიდა. ხულიგანი ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევეს. მისმა თანაგუნდელმა დ. იმნაძემ კი წლეულს მეორედ მიიღო გაფრთხილება. „ალგეთის“ ფეხბურთელთა კოლექტივში შექმნილი არანორმალური მდგომარეობის თაობაზე უნდა იმსჯელოს მარნეულის სპორტკომიტეტმა, ხოლო მისმა თავმჯდომარემ ა. გოგინავამ მოგვწეროს მიღებულ ღონისძიებათა შესახებ.

წლეულს მესამედ გააფრთხილეს ჟინვალის „არაგვის“ ფეხბურთელი თ. ადუაშვილი. დუშეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ა. იორდანიშვილმა გადამჭრელ ზომებს უნდა მიმართოს თ. ადუაშვილისა და მის მსგავსთა მიმართ.

კვლავ დაარღვიეს წესრიგი ზუგდიდის „ენგურის“ ფეხბურთელებმა. კერძოდ, მიმდინარე სეზონში მეორე გაფრთხილება მიიღო თ. ნარსიამ. ცხადია, ზუგდიდის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ კ. ხორავამ ვერ შეძლო დისციპლინის დამყარება „ენგურის“ გუნდში.

ასევე მეორედ გააფრთხილეს გეგეჭკორის „სალხინოს“ ფეხბურთელი მ. ხელაია (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მ. პატარაია).

გააფრთხილეს ხობის „კოლხეთის“ მოთამაშე ზ. ლატარია (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე კ. ბებურია), დ. ხორბალაძე (წულუკიძის „იმერეთი“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. ესებუა), ა. ჯინჭარაძე (თბილისის „ავტომობილისტი“ სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ო. კალაძე).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

• • •

სურათზე: საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში. თბილისის „სპარტაკისა“ და გორის რაიონის „ქართლის“ შეხვედრის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ჩემპიონატები, თასები, ლიგები

ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა“ X ტურში მოულოდნელი დამარცხება იწვნია პირველი ლიგის დებიუტანტ „დენ ბოსჰთან“ — 0:3 და დაკარგა ლიდერობა. „აიაქსის“ ძველმა მეტოქემ „ფეიენოორდმა“, რომლის რიგებში ახლა ი. კრუიფი გამოდის, როტერდამში მიიღო „ეინდჰოვენი“. ანგარიში გახსნა „ფეიენოორდის“ ბულგარელმა თავდამსხმელმა ჟელიაზკოვმა, მაგრამ კოლჰოფმა შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1.

10 ტურის შემდეგ 16 ქულით წინაა „ფეიენოორდი“, მას თითო ქულით ჩამორჩებიან „აიაქსი“, „ეინდჰოვენი“ და კერკრედეს „როდა“.

ბელგია

X ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერი — „ბევერენ-ვაასი“ და მისი უახლოესი მდევარი „ფკ სერინგი“. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „ბევერენ-ვაასმა“, რომელმაც 17 ქულა მოაგროვა და მეტოქე 3 ქულით ჩამოიტოვა.

შოტლანდია

VIII ტურში ლიდერმა — „დანდი იუნაიტედმა“ მატჩი გამოტოვა, ამით ისარგებლეს გლაზგოს „სელტიკმა“ და „ჰართს ოფ მიდლოტიანმა“, რომლებმაც ერთმანეთთან ფრედ ითამაშეს (1:1) და ლიდერს გაუთანაბრდნენ. ახლა სამივეს 12-12 ქულა აქვს. ერთი ქულით ჩამორჩება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე გამარჯვებული „აბერდინი“.

გფრ

X ტურში, ბოლოსდაბოლოს, ხელი გამოილო „კიოლნმა“, რომელმაც ანგარიშით 2:0 სძლია „ბაიერნს“ (მიუნხენი). „ჰამბურგმა“ მანჰაიმში დაამარცხა ბუნდესლიგის დებიუტანტი „ვალდჰოფი“ — 1:0 და ერთპიროვნულად ლიდერობს. ქულა დაკარგა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელმა „შტუტგარტმაც“, რომელიც ბილეფელდში შეხვდა „არმინიას“ (0:0). უფერულად თამაშობს მაინის ფრანკფურტის „აინტრახტი“, რომელმაც სტუმრად ანგარიშით 1:4 წააგო „ბოხუმთან“. გუნდი ბოლო, მე-18 ადგილზეა, ამიტომ დადგა იუგოსლაველი მწვრთნელის ბ. ზებეცის განთავისუფლების საკითხი, ვინაიდან იგი საერთო ენას ვერ პოულობს დირექტორატთან.

დანარჩენი მატჩები: „აინტრახტი“ (ბრაუნშვაიგი) — „კაიზერსლაუტერნი“ 4:0, „კიკერსი“ (ოფენბახი) — „ბაიერი“ (უერდინგენი) 3:2, „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) — „ბაიერი“ (ლევერკუზენი) 2:2, „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) — „ნიურნბერგი“ 2:0, „ვერდერი“ (ბრემენი) — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 2:1.

10 ტურის შემდეგ „ჰამბურგს“ 16 ქულა აქვს. მას 2 ქულით ჩამორჩება „ბაიერნი“ და სამით — „შტუტგარტი“.

პორტუგალია

ძველი მეტოქეების — „პორტოსა“ და ლისაბონის „სპორტინგის“ მატჩი პორტოში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 1:0, ლისაბონის „ბენფიკამ“ გაიმარჯვა „ფარენზესთან“ — 6:2.

7 ტურის შემდეგ 13 ქულით წინაა „ბენფიკა“, „პორტოს“ 12 ქულა აქვს, გიმარაეშის „ვიტორიას“ — 11.

ავსტრია

გაუარესდა ვენის „რაპიდის“ მდგომარეობა, რომელიც IX ტურში შინ ანგარიშით 1:2 დამარცხდა ზალცბურგის „აუსტრიასთან“. ვენის „აუსტრიამ“ ანგარიშით 2:0 მოუგო „აიზენშტადტს“ და 16 ქულით ლიდერობს. 14 ქულა აქვს გრაცის „შტურმს“, 12-12 — „ლინცერ ასკ“-სა და ვენის „რაპიდს“.

საფრანგეთი

XIV ტურში ბორდოს „ჟირონდა“ საკუთარ მინდორზე ფრეს (1:1) დასჯერდა „მეცთან“, თუმცა 22 ქულით მაინც ინარჩუნებს პირველ ადგილს. მას 2-2 ქულით ჩამორჩებიან „მონაკო“ და „ოქსერი“. ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონი „სენტ-ეტიენი“.

ნორვეგია

დამთავრდა ქვეყნის ჩემპიონატი. 44 შესაძლებლიდან 31 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ოსლოს „ვალერენგენმა“, 28 ქულა აქვს „ლილესტრიომს“, 27 — კრისტიანზანდის „სტარტს“.

ჩეხოსლოვაკია

X ტურის მეტად მნიშვნელოვან მატჩს პრაღაში „დუკლასა“ და ბრატისლავის „სლოვანს“ შორის დაესწრო... 1500 მაყურებელი. ფრე — 1:1. „დუკლამ“ 18 ქულა მოაგროვა და კვლავინდებურად პირველ ადგილზეა. მისმა უახლოესმა მდევარმა პრაღის „სპარტამ“ მოუგო ტრნავის „სპარტაკს“ —3:2 და 16 ქულით მეორე ადგილზეა.

ბულგარეთი

სხვაობა ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამესა“ და II ადგილზე მყოფ „ლევსკი-სპარტაკს“ შორის 3 ქულამდე გაიზარდა. არმიელებმა ანგარიშით 6:1 სძლიეს „სლივენს“, ხოლო „ლევსკი-სპარტაკი“ შინ ფრეს (1:1) დასჯერდა ბურგასის „ჩერნომორეცთან“.

8 ტურის შემდეგ ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამეს“ 15 ქულა აქვს, „ლევსკი-სპარტაკს“ — 12, გრაცის „ბოტევს“ — 10.

უნგრეთი

დიდი მოულოდნელობაა ბუდაპეშტის პოპულარულ კლუბ „ფერენცვაროშის“ წარუმატებლობა. XI ტურში მან ფრედ (1:1) ითამაშა „პეჩთან“ და 6 ქულით ბოლოსწინა, მე-15 ადგილზეა.

15-15 ქულით წინ არიან „ვიდეოტონი“ (შეკეშფეხერვარი) და „ბანიაში“ (ტატაბანია). ბუდაპეშტის კლუბები „ჰონვედი“ და „დოჟა-უიპეშტი“ მათ თითო ქულით ჩამორჩებიან.

პოლონეთი

ლიდერმა „ლეხმა“ (პოზნანი) XII ტურში ანგარიშით 4:0 მოუგო ლოძის კს-ს. ახლა მას 18 ქულა აქვს. 17-17 ქულა მოაგროვეს ველბჟიხის „გურნიკმა“, ლოძის „ვიძევმა“ და ხოჟუვის „რუხმა“.

რუმინეთი

ბუქარესტის „დინამომ“ VIII ტურში თამაში გამოტოვა. 13 ქულით ახლა წინაა ბუქარესტის „სპორტული“, თუმცა მან მარცხი იგემა (0:1) იასის „პოლიტექნიკასგან“. 11-11 ქულა აქვთ ბუქარესტის „სტიაუასა“ და ორადეას „ბიჰორს“.

იუგოსლავია

„ოსიეკმა“ XI ტურში მძიმე მარცხი აგემა „ფკ რიეკას“ — 4:1. თუმცა, ეს უკანასკნელი 15 ქულით მაინც ინარჩუნებს პირველ ადგილს. 14-14 ქულა მოაგროვეს სპლიტის „ჰაიდუკმა“, ბელგრადის „პარტიზანმა“ და [illegible]

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

მაყურებელთა რაოდენობამ იკლო

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გაზეთები წერენ, რომ ბუნდესლიგის ჩემპიონატზე მოიკლო მაყურებელთა დასწრებამ და თვით საუკეთესო გუნდების შეხვედრებიც ნახევრად ცარიელი ტრიბუნების წინ მიმდინარეობს. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა „ჰამბურგმა“ წინა სეზონთან შედარებით საშუალოდ ყოველ მატჩზე დაკარგა 4.976 მაყურებელი, ხოლო „კიოლნმა“ — 6.037.

დისციპლინის დარღვევისათვის

„რივერ პლეიტის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ არგენტინის ნაკრების მეკარე ფილოლი დისციპლინის დარღვევისათვის საგანგებოდ დაისაჯა. იგი „რივერ პლეიტში“ ვეღარ ითამაშებს და ვერც რომელიმე სხვა კლუბში გადავა, სანამ ამ გუნდთან არ გაუვა კონტრაქტი, ე. ი. 1984 წლის დასასრულამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა





მსოფლიო ჩემპიონატის ექო

45 ქვეყნის 200-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა მოსკოვში ამას წინათ გამართულ ძიუდოისტთა XIII მსოფლიო ჩემპიონატში. ამ საინტერესო ასპარეზობას ათასობით მაყურებელი ადევნებდა თვალს.

ჩვენი ფოტორეპორტაჟი სწორედ ამ შეჯიბრებაზე მოგითხრობთ: ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ს. მაცუმაესა (ცენტრში) და ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა ყურადღება ტატამისკენაა მიპყრობილი; შ. ხაბარელისა (მარცხნივ) და ჟ. ბერტეს (საფრანგეთი) შეხვედრა ბრინჯაოს მედლისთვის; ეს-ესაა დააჯილდოვეს მძიმე წონით კატეგორიაში გამარჯვებულები, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დგას განთქმული იაპონელი ფალავანი ი. იამასიტა; გულშემატკივრები.

ვ. განჩუკის (მოსკოვი) ფოტოები.

„კლდის მეფხვის" მემორიალზე

აფხაზეთის ულამაზესი მდინარეების გეგასა და იუფშარას ხეობაში, რიწის ტბისკენ მიმავალ გზაზე კვლავ აფრიალდა საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკათა ალმები. აქ ჩატარდა გამოჩენილი მთამსვლელისა და მეკლდეურის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონის მიხეილ ხერგიანის ტრადიციული მემორიალი.

მასშტაბით ყველაზე მნიშვნელოვანია გამოჩენილი სპორტსმენის მემორიალი კლდეზე ცოცვაში, რომელიც 1976 წლიდან ქ. გაგრის მახლობლად იმართება.

ამჯერად შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: ლენინგრადის, ალმაათის, ტაშკენტის, დონეცკის, სიმფეროპოლის, სევასტოპოლის, ერევნის, თბილისის და სხვა ქალაქების გუნდები. დასანანია, რომ შეჯიბრებაზე არ ჩამოვიდნენ მ. ხერგიანის სამშობლო მესტიის წარმომადგენლები. მონაწილეთა კვალიფიკაცია სპორტის ოსტატობის კანდიდატზე დაბალი არ იყო. ტრასები 100-მეტრიან კლდესა და 95 გრადუსი დაქანების კლდეზე გაყვანილი იყო სპორტის ოსტატ ლ. გურჩიანის მეთაურობით. შეჯიბრება დაიწყო წყვილთა გარბენით.

ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ნ. დიდებულიძემ (თბილისი), მეორეზე იყო ა. კუჩერიავი (სევასტოპოლი), მესამეზე — ზ. ქიტუაშვილი (თბილისი). გოგონათა ასპარეზობაში პირველი იყო ზ. ჭკადუა (თბილისი), მეორე — ლ. სედრისტაია (დონეცკი), მესამე — ფ. ქირნოვა (ტაშკენტი).

ინდივიდუალურ ცოცვაში, რისთვისაც ენიჭებათ მ. ხერგიანის პრიზი, ვაჟთა შორის გაიმარჯვა ტაშკენტის წარმომადგენელმა სპორტის ოსტატმა გ. პისარენკომ, მეორე ადგილზე გავიდა ნ. დიდებულიძე, მესამეზე ზ. ქიტუაშვილი. გოგონათა შორის ყველას აჯობა სპორტის ოსტატმა ფ. ქიროვამ, მეორე ადგილზეა ზ. ჭკადუა, მესამეზე — ტ. გერასკინა (დონეცკი).

როგორც ყოველთვის, დიდი ინტერესი გამოიწვია ე. წ. დომბაის წყვილებმა, სადაც მთამსვლელურ ილეთებს იყენებენ. აქ ვაჟთა შორის კვლავ პირველ ადგილზე აღმოჩნდნენ ნ. დიდებულიძე და ზ. ქიტუაშვილი, მეორეზე — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ს. კალოშინი და ა. კუჩერიავი (სევასტოპოლი), მესამეზე — ვ. კაუროვი და ნ. პიტალი (ლენინგრადიდან).

გოგონათა შორის პირველობა მოიპოვეს ტ. გერასკინა-ლ. სედრისტაიამ (დონეცკი), მეორე — ზ. ჭკადუამ და ზ. მჭედლიანმა, მესამე — მ. ლიუბანოვამ და ს. ლიხოვამ (ლენინგრადი).

მრავალჭიდში ქალთა შორის პირველ ადგილზე გავიდა ზ. ჭკადუა, მეორეზე — ფ. ქირნოვა, მესამეზე — ტ. გერასკინა, ხოლო ვაჟთა შორის — ნ. დიდებულიძე, ზ. ქიტუაშვილი, და ნ. პიტალი; გუნდური ადგილები: თბილისი, დონეცკი, ლენინგრადი.

მემორიალის მონაწილეებმა დაათვალიერეს ათონის მღვიმე და კურორტი ბიჭვინთა. შემაჯამებელ საღამოზე გაგრის კომკავშირის რაიკომის წარმომადგენელმა ფასიანი საჩუქრები გადასცა შეჯიბრების მონაწილეებს, ლენინგრადელებმა კი საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპიური კლუბის მუზეუმისთვის გადმოგვცეს მეტად საგულისხმო ბარათი, წამოღებული ფასის მთის მწვერვალიდან.

ბარათში წერია: „საქართველოს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიათა და საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებათა ამხ. შოთა მიქელაძის სახელობის ექსპედიცია მთის რაჭისა და მყინვარების და მდინარეთა რიონ-ცხენისწყლის სათავეების შესასწავლად. ექსპედიციის უფროსი ექიმი ი. ასლანიშვილი, უფროსის შემწე ა. გვალია. 1932 წ. 27. IX. 11 ს. 59 წ. „ამოვედით ფასის მთის მწვერვალზე ექსპედიციის წევრები: ს. გვალია, ა. ლობჟანიძე, შ. მაყაშვილი, ჯ. ფურცელაძე, ი. ასლანიშვილი 11 ს. 59 წ. რიონისა და ცხენისწყლის გამყოფი ქედით. ჩრდილო აღმოსავლეთის ამოსავალს ჩვენი ექსპედიციის წევრის, ღების სამთო სექციის მდივნის ა. ლობჟანიძის პატივსაცემად ვუწოდეთ „ათანასეს ამოსავალი".

ამინდი კარგია, ქარი არ ქრის, დასავლეთით დარია, აღმოსავლეთით — ნისლი. ჩვენი ანეროიდით სიმაღლე 4500 მეტრი, ჰაერის წნევა 432, თბიერება 17.

ექსპედიციის უფროსი ი. ასლანიშვილი".

ამ ბარათმა მწვერვალზე 51 წელი დაჰყო.

შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის გვინდა მადლობა მოვახსენოთ პარტიის გაგრის ქალაქკომს (ე. კაპბა) და აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებას (ლ. ლაკერბაი).

დ. გოზალიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 22 ოქტომბერს გამართული „სპორტლოტოს" მორიგი, 43-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (42 ბარათი) მოგება 954 მანეთია, ოთხისთვის (1501 ბარათი) — 31, სამისთვის (23178 ბარათი) — 3.

„სპორტლოტო 5 36"-დან: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (26 ბარათი) მოგება 7750 მანეთია, ოთხისთვის (2521 ბარათი) — 150, სამისთვის (84613 ბარათი) — 5.

მოგებული თანხის განაღდება 2 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით.

ოლიმპიური დედაქალაქი: „სამოთხე მძარცველებისთვის"

კანბერა. იმაზე, თუ რა სიურპრიზები ელოდება ტურისტებს ლოს-ანჯელესში 1984 წლის ოლიმპიური თამაშების დროს, წერს სიდნეის გაზეთ „სანჰერალდის" კორესპონდენტი ჯორჯ უილსონი, რომელიც ახლახან ჩამოვიდა ლოს-ანჯელესიდან.

ამერიკელები, — წერს იგი, — როცა სტუმრებს, ნაცნობებს აცილებენ, ჩვეულებრივ ამბობენ: „სასიამოვნო დროსტარებას გისურვებთ". ლოს-ანჯელესში კი მიღებულია: „იყავით ფრთხილად!" „ანგელოზების ქალაქში დანაშაულობები დღითიდღე იზრდება, ადგილობრივი პოლიციის აზრით, თუ არ იქნება მიღებული რადიკალური ზომები, ოლიმპიური თამაშების დღეებში ათასობით ტურისტი, როგორც კი შეღამდება, სასტუმროებიდან ვერ გამოვა.

უილსონი აღნიშნავს, რომ ლოს-ანჯელესში მას აფრთხილებდნენ, რათა შეღამებულზე ქუჩაში არ გამოსულიყო, თუნდაც ნაცნობთან ერთად. ერთხელ, როცა იგი სავახშმოდ ახლომდებარე რესტორანში აპირებდა წასვლას, სასტუმროს შვეიცარმა გააფრთხილა, რომ ყოველი შემთხვევისთვის წაეღო... პისტოლეტი.

ავსტრალიელი ძალზე გააოცა იმან, რომ დიდი მაღაზიების მოლარეთა გვერდით მუდმივად მორიგეობდნენ კბილებამდე შეიარაღებული მცველები. და თუ თქვენ, — წერს იგი, — ლოს-ანჯელესში ყოფნისას სურვილი გაგიჩნდებათ გაეცნოთ ყველაზე სრულყოფილი სასროლი იარაღის ბოლო ნიმუშს, ნებისმიერ ბანკში ნახეთ, თუ როგორაა შეიარაღებული მისი დაცვა.

ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ორი დღის ნაცნობობის შემდეგ ავსტრალიელს შესთავაზა მარიხუანა, ჰეროინი, კოკაინი...

ლოს-ანჯელესის პოლიციის სამმართველოს წარმომადგენლის რ. ბერნსენის აზრით ქალაქში გაქურდვის შემთხვევები იზრდება მაშინაც კი, როცა იქ ტარდება რაიმე კონფერენცია, რომელზეც ქვეყნის სხვა რაიონებიდან ათასობით კაცი ჩამოდის, ოლიმპიურ თამაშებზე კი ჩამოვა ასიათასობით ტურისტი.

ჩვენ, — თქვა პოლიციის სამმართველოს წარმომადგენელმა, — რა თქმა უნდა, მოვამარაგებთ მათ საგანგებო ბროშურებით, გავაფრთხილებთ, რომ საღამოობით ქუჩაში მარტო გამოსვლა არ შეიძლება, რომ უნდა იარონ ჯგუფურად და რაც მთავარია, მზად იყვნენ გაუმკლავდნენ ბანდიტებსა და მძარცველებს.

ამრიგად, ლოს-ანჯელესში ჩასვლის მსურველნო, „იყავით ფრთხილად"!

(საკდეხი).

მთავარია რბენის რიტმი

წლეულს ზედიზედ 86-ედ გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენმა 400 მეტრზე თარჯრბენში ედვინ მოზესმა. ამერიკელმა ზანგმა სპორტსმენმა კობლენცში (გფრ) ეს მანძილი უმაღლესი მიღწევით (47,02) დაფარა.

ჟურნალისტების ვარაუდით: მოზესს დაკარგული აქვს სტარტზე გამოსვლის ყოველგვარი ინტერესი, ვინაიდან წინასწარ იცის, რომ გაიმარჯვებსო, მსოფლიო რეკორდსმენმა, რომელიც აქტიურად ემზადება ოლიმპიადა-84-ისთვის, ასე გააბათილა:

— ეს სწორი არ არის, მე ყოველთვის სერიოზულად ვეკიდები შეჯიბრებას, ვინაიდან მეტოქეები სულ უფრო ძლიერდებიან. ალბათ ახლოვდება ის დღე, როცა მომიგებენ. შესაძლოა ამან დამამშვიდოს კიდეც, არ ვიცი....

● **როგორ გახდით დაუმარცხებელი?**

— უპირველესად მინდა ვთქვა რომ არც რობოტი ვარ და არც მანქანა, მე ისევე ვსწავლობ თარჯრბენის ყოველგვარ წვრილმანს, როგორც მათემატიკას. ჩემი აზრით მთავარია რბენის რიტმი.

● **ვინაა თქვენი მრჩეველი?**

— არავინ! თვითონ ვადგენ მზადების გეგმას. ხანდახან მეგობრებს თუ დავეკითხები, ბევრს ვკითხულობ სპეციალურ ლიტერატურას.

● **არ არის დრო, რომ თარჯებს შორის მანძილი განისაზღვროს 13-ის ნაცვლად 12 ნაბიჯით?**

— ეს დიდ რისკთანაა დაკავშირებული, მე საჭიროდ არ ვთვლი შევცვალო ნაბიჯების რიტმი.

● **თქვენ აქტიურად იბრძვით სპორტში დოპინგისა და სტიმულატორების მიღების წინააღმდეგ. გულზე ხელი დაიდეთ და თქვით არასდროს მიგიმართავთ ამ პრეპარატებისთვის?**

— არასოდეს! ეს დიდი მორალური და სოციალური პრობლემაა. მათი დახმარებით სპორტსმენის შესაძლებლობა მატულობს ხელოვნურად. ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ ახალგაზრდები საფრთხეში აგდებენ თავიანთ ჯანმრთელობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა უნამუსო მწვრთნელების ხელში ხვდებიან.

ჟურნალ „სპორტს ილუსტრეიტედში" წავიკითხე, რომ ერთმა ლოს-ანჯელესელმა ექიმმა ათასობით ახალგაზრდას ურჩია სტეროიდებისა და სხვა სტიმულატორებისთვის მიემართათ. მას შემდეგ, რაც აშშ-ის ნაკრების კრებაზე აღშფოთება გამოვთქვი მსგავსი ბიზნესის გამო, ზოგიერთი მწვრთნელი და ხელმძღვანელი აღარ მესალმება...

(საკდეხი).

რედაქტორის მოადგილე
უ. ჰიჰინაძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის. 29. ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
უე — 07874